ხაშურის მოამბე

№20 (271) 31 აგვისტო, ორშაბათი, 2020 წელი

გიორგი გახარიამ და მაია ცქიტიშვილმა ხაშურის შემოვლითი გზა გახსნეს - მგზავრობის დრო 40-50%-ით შემცირდება

ხაშურის შემოვლით გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა უკვე შესაძლებელია, - აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E60-ის) შემადგენელი, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის პროექტის ნაწილი - ხაშურის შემოვლითი გზა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან

ერთად გახსნა.

პროექტი, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერით და ევროკავშირის ფინანსური გარანტიით განხორციელდა და 133 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერის წილი პროექტში 50 მლნ ლარია.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის 13 კილომეტრიანი მონაკვეთი ეს არის ხაშურის შემოვლითი გზა, რომელიც არის პირველ რიგში ხაშურლებისთვის და, რა თქმა უნდა, მთელი საქართველოსთვის.

„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს 13 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლისგანაც 11 კილომეტრი არის სრულად 4 ზოლიანი, 2 კილომეტრი დროებით, ოქტომბრის ბოლომდე არის 2 ზოლიანი, ეს არის

უმნიშვნელოვანესი. რატომ? ეს არის ხაშურის შემოვლითი გზა. მოგეხსენებათ ხაშურში რა ხდებოდა ეკოლოგიურად, მოძრაობის თვალსაზრისით, ხაშური იყო ჩვეულებრივი სატრანზიტო ქალაქი. დღეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი რატომაა და რატომ ვჩქარობდით წვიმაში ამის გახსნას, დღეს უკვე გზა გახსნილია და დასავლეთი-აღმოსავლეთის ჩქაროსნულ მაგისტრალზე ადამიანებს აღარ მოუწევთ ხაშურის გავლა. ხაშურლებისთვის ეს რა არის? პირველ რიგში ეს არის უსაფრთხოება, მოგეხსენებათ, ეს იყო კატასტროფული მოძრაობა ხაშურში, საცობებს თავი, რომ დავანებოთ, უმნიშვნელოვანესია, რა თქმა უნდა, ეკოლოგიაც. ახლა შვებულებების სეზონია და ყველა ვმოძრაობთ, ვხედავთ რამდენად მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ მაგისტრალზე, წელს ჩვენ უკვე გავხსენით ქუთაისის შემოვლითი გზის 19 კილომეტრიანი მონაკვეთი, ისევე, როგორც ჯაპანა-ლანჩხუთის 12 კილომეტრიანი მონაკვეთი, მაგრამ წელს არის ყველაზე მასშტაბური გახსნები, საბოლოო ჯამში 70 კილომეტრი გაიხსნება და ყველაზე მასშტაბური სამუშაოები, რაც აქამდე ყოფილა აღმოსავლეთ-დასავლეთის მონაკვეთზე. როგორც კი რიკოთი დასრულდება, ჩვენ ხარისხობრივად მივიღებთ ახალ ქვეყანას ეს იქნება სულ სხვა მობილობა, ეს იქნება

სულ სხვა ხარისხობრივად ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანა და ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მოგეხსენებათ, რომ წელს ამ 70 კილომეტრის ძირითადი მონაკვეთები რა არის, ეს არის ხაშურის შემოვლითი გზა, ქუთაისის შემოვლითი გზა სრულად და ჯაპანა-ლანჩხუთის გზა. ასევე, მიმდინარეობს ბათუმის შემოვლით გზაზე მუშაობა და 2022 წლისთვის ჩვენ სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებთ“,- განაცხადა გიორგი გახარიამ.

ხაშურის შემოვლითი გზის 13 კმ-იანი მონაკვეთიდან 11.5 კმ-ზე ექსპლუატაციაში შევიდა 4 ზოლიანი გზა, ხოლო დარჩენილი 1.5 კმ-ზე ავტოტრანსპორტი დროებით იმოძრავებს 2-ზოლიან გზაზე. გზის

1.5 კმ-იან მონაკვეთზე დამატებითი 2 ზოლის მშენებლობა ოქტომბერში დასრულდება და ხაშურის შემოვლითი გზის 13 კილომეტრი 4-ზოლიანი იქნება.

ხაშურის შემოვლითი გზა აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და არსებულ გზას სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან უერთდება. ამ მონაკვეთზე აშენდა 420-მეტრიანი ხიდი, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯებით გამოირჩევა.

შემოვლითი გზა მნიშვნელოვნად განტვირთავს ხაშურს საცობებისგან, ტრანზიტული მოძრაობა კი, სრულად ახალ გზაზე განხორციელდება. ხაშურის შემოვლითი გზის საშუალებით მგზავრობის დრო 40-50%-ით შემცირდება და ახალი გზით საშუალებით გადაადგილების დრო ამ მონაკვეთზე განახევრდება.

გარდა ამისა, გზის შესაბამის მონაკვეთებთან, მოეწყობა სპეციალური, უსაფრთხო სავაჭრო სივრცეები გამართული ინფრასტრუქტურით, რათა მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია შეძლოს.

ახალი შემოვლითი გზის გახსნის ღონისძიებას მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სებასტიან მოლინეუსი, ევროკავშირის ელჩის მოადგილე ასუნსიონ სანჩეს რუისი და ევროპის საინვესტიციო ბანკის რეგიონული წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში მაჩიე ჩურა დაესწრნენ

პრემიერ-მინისტრი და კომერციული ბანკების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებისთვის განკუთვნილი 200-ლარიანი დახმარება საბანკო დავალიანების მქონე პირებს არ ჩამოეჭრებათ

17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებისთვის განკუთვნილი 200-ლარიანი დახმარების ჩარიცხვა 1-ლი სექტემბრიდან დაიწყება; საბანკო დავალიანების მქონე პირებს აღნიშნული დახმარება არ ჩამოეჭრებათ, - შესაბამისი შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და კომერციული ბანკების ხელმძღვანელების შეხვედრაზე შედგა, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

შეთანხმების შესაბამისად, თუ დახმარების ბენეფიციარს ბანკთან აქვს სასესხო ვალდებულება, მის დასაფარად, ბანკი კონკრეტულად აღნიშნულ სოციალურ დახმარებას არ მიმართავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბანკებმა შესაბამის საოპერაციო დონეზე მუშაობა უკვე დაიწყეს.

შეხვედრაში საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი, „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვასილ ხოდელი, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე და „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე მონაწილეობდნენ.

18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი 200-ლარიანი სოციალური დახმარების მიღების მიზნით შექმნილ სპეციალურ პორტალზე - დახმარება. moh.gov.ge დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 742 000 ბავშვი და 442 000 მშობელი. სისტემაში რეგისტრაცია 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გრძელდება.

მაგისტრალზე „ჰამაკების ბაზრობისთვის“ მოეწყობა სპეციალური სავაჭრო სივრცეები – საგზაო დეპარტამენტი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი გვერდს აუვლის „ჰამაკების ბაზრობას“ და მსგავსი ტიპის სავაჭრო პუნქტებს. დეპარტამენტის ინფორმაციით, მათთვის მოეწყობა სპეციალური სავაჭრო სივრცეები.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე (E60), ხაშურის შემოვლითი 13 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა.

ხაშურის შემოვლითი გზა აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან დაუერთდება არსებულ გზას. აქტიურ პროცესშია რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობაც.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის ახალი მონაკვეთები გვერდს აუვლის ხაშურის „ჰამაკების ბაზრობას“ და მსგავსი ტიპის სავაჭრო პუნქტებს სურამში, შროშასა და ზესტაფონში. იმისათვის, რომ მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია შეძლოს, ახალი მაგისტრალის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, გზის შესაბამის მონაკვეთებთან, მათთვის მოეწყობა სპეციალური, უსაფრთხო სავაჭრო სივრცეები გამართული ინფრასტრუქტურით. ახალი სავაჭრო სივრცეები, ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო განავითარონ ბიზნესი უსაფრთხოების და სხვა აუცილებელი სტანდარტების პირობებში, – ნათქვამია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

- სოფლის მეურნეობა -

მთავრობის ახალი ინიციატივა

მთავრობის გადაწყვეტილებით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ფერმერების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამას „დანერგე მომავალი“ კომპონენტი ემატება, რომელიც მრავალწლიანი კულტურების ბაღებში სეტყვის, ქარიშხლისა და წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ნერგების ჩანაცვლებას ითვალისწინებს.

დაფინანსდება ბაღების გაშენების კომპონენტით განსაზღვრული ნებისმიერი მრავალწლიანი კულტურის ნერგი, მათ შორის ვაზი (გარდა რქაწითელის ჯიშისა), დასაშვებია ასევე დაზიანებული რქაწითელის ჯიშის ნერგების ჩანაცვლება სხვა მრავალწლიანი კულტურის ნერგებით.

დაფინანსება შეეხება 2020 წლის 15 ივლისიდან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ნერგების ჩანაცვლებას. ჩანაცვლება განხორციელდება არაუმეტეს 50 ჰა მიწის ფართობზე,

კომპონენტში მონაწილეობის მისაღებად ნერგის შეძენა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან ან ნერგის იმპორტის გზით.

თანადაფინანსება გავრცელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. ფოთი

დაფინანსების მისაღებად, სტიქიური მოვლენების შედეგად მრავალწლიანი სავარგულების დაზიანებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში, პოტენციურმა ბენეფიციარმა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოში უნდა წარადგინოს პროგრამით დადგენილი დოკუმენტაცია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება # 1346

24 / აგვისტო / 2020 წ.

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი
პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი თანდართული სახით (დანართი თან ერთვის).
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს ბრძანების თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება ეცნობოს მერიის სამსახურებს. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. 15) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მერი გიორგი გურასპაშვილი

დანართი

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი, რეგულირების სფერო და მიზანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. რეგულირების სფერო და მიზანი

ეს წესი განსაზღვრავს არჩევნების პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა (შემდგომში - საჯარო მოსამსახურე) უფლება-მოვალეობებს, მიზნად ისახავს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთას და დარღვევებზე რეაგირების მექანიზმის გაუმჯობესებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არჩევნები - 2020 წლის 31 ოქტომბერს დანიშნული საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს (საქართველოს პარლამენტი) არჩევნები;

ბ) საარჩევნო პერიოდი - არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის ამოქმედების დღიდან შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით დროის მონაკვეთი;

გ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

დ) მერია - მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას და რომელსაც ხელმძღვანელობს მერი და სტრუქტურულად შედგება მერისგან, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილ(ებ)ისგან ასევე, ადმინისტრაციისაგან (მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ისა და სხვა საჯარო მოსამსახურეებისაგან).

ე) საჯარო მოსამსახურე - მერიის საჯარო მოსამსახურე.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ კოდექსით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II. არჩევნები

მუხლი 4. საარჩევნო პროცესი

1. საარჩევნო პროცესის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა.
2. არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
3. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად და რაიმე ზემოქმედების გარეშე ხმა მისცენ სასურველ კანდიდატებს, რაც საფუძველია არჩევნების შედეგებით ელექტორატის ნების სამართლიანი ასახვისა.

მუხლი 5. შეკრებისა და ნების გამოვლენის უფლება

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს,წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. თუმცა, აკრძალულია გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობისას სხვა ადამიანების უფლებების ხელყოფა, მათ შორის, არჩევნებში მონაწილე სუბიექტის ამომრჩეველთან შეხვედრის ხელშეშლა, ჩაშლა, განსხვავებული აზრის მქონე პირებთან დაპირისპირება, მათი შეურაცხყოფა, ძალადობა ან ამგვარის მცდელობა.
2. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება,რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

მუხლი 6. საჯარო მოსამსახურეთა ზოგადი ვალდებულებები

1. საჯარო მოსამსახურეები, როგორც ხელისუფლების პირველწყარო ხალხის მიერ არჩეული მმართველობისა და მოსახლეობის (მოქალაქეების) სამსახურში მყოფი პირები, პირველ რიგში არიან ვალდებული იყონ სამაგალითო და დაიცვან განუხრელად არჩევნებთან, როგორც ხელისუფლების თავისუფალ, სამართლიან ფორმირებასა და მაშასადამე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისგან განუყოფელი საარჩევნო კანონმდებლობის ნორმები და მოთხოვნები.
2. საარჩევნო პერიოდში, ისე, როგორც სხვა დროს, საჯარო მოსამსახურეებზე ჩვეულებრივ მოქმედებს ქცევის ზოგადი წესები საჯარო მოსამსახურეთათვის, შესაბამისად, მათ აქვთ ვალდებულება საარჩევნო კანონმდებლობასთან ერთად დაიცვან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი რეგულაციები.

თავი III. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები საჯარო მოსამსახურეთათვის

მუხლი 7. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია

1. წინასაარჩევნო კამპანია არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.
2. წინასაარჩევნო აგიტაცია მოიცავს (გულისხმობს) ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორ-

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი

განიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, საარჩევნო-სააგიტაციო მასალების შენახვას ან გავრცელებას, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობას, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნას.

მუხლი 8. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიმდინარეობა

1. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

2. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვთ, დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა.

3. პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით.

მუხლი 9. წინასაარჩევნო აგიტაციაში საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობა

1. საჯარო მოსამსახურეს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ არასამუშაო საათებში და/ან იმ დროს, როდესაც უშუალოდ არ ასრულებს სამსახურებრივ ფუნქციებს. სამუშაო საათებში და/ან სამსახურებრივი ფუნქციების უშუალოდ შესრულებისას საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში რაიმე ფორმით მონაწილეობის მიღება.

2. საჯარო მოსამსახურეთათვის, ისე, როგორც სხვა ნებისმიერი პირისათვის აკრძალულია წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტომასალების და სხვა სააგიტაციო მასალის (საშუალებების) გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა და წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა.

3. წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში და/ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას არ ეზღუდებათ კოდექსით განსაზღვრულ პოლიტიკურ თანამდებობის პირებს (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორი).

მუხლი 10. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული შეზღუდვები

1. აკრძალულია:

ა) წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება სახელმწიფო ხელისუფლების (მათ შორის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, სასამართლოების, სამხედრო ნაწილების) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებში;

ბ) სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, საგზაო ნიშნებზე და აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მიერ კანონმდებლობით დადენილი წესით აკრძალულ ადგილებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსება/გაკვრა;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად;

დ) ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე) სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.

2. კენჭისყრის დღეს აკრძალულია:

ა) კენჭისყრის შენობაში – წინასაარჩევნო აგიტაცია; დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

ბ) წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში.

მუხლი 11. ამომრჩევლის მოსყიდვა არჩევნების პერიოდში აკრძალულია:

ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შედავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა). რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო მოსამსახურეს (ისე, როგორც ნებისმიერ სხვა პირს) ეკრძალება საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის სასარგებლოდ ამ მოქმედებ(ებ)ის განხორციელება, მათ შორის არასამუშაო პერიოდში.

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას. რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო მოსამსახურეს (ისე, როგორც ნებისმიერ სხვა პირს) ეკრძალება (მათ შორის არასამუშაო პერიოდში) პირადი ან საარჩევნო სუბიექტის სახსრებით გაწიოს ისეთი სამუშაო, რომლის შესრულებაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციაა.

მუხლი 12. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საჯარო მოსამსახურეს (ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით) ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; მათ შორის, იკრძალება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული ნებისმიერი ქონების (მათ შორის: ტელეფონი, ფაქსი, კომპიუტერი, ქაღალდი, ბაინდერი, საწვავი და სხვა) გამოყენება;

ე) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში დასაქმებული თანამშრომლების შეზღუდვები

ა) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებში დასაქმებულ თანამშრომლებს სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს არ აქვთ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 14. საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

1. საჯარო მოსამსახურეს (ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით) ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას

ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას;

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.

2. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით.

3. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ კენჭისყრის შენობის მოწყობის ან/და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებაზე.

5. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. იმავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

მუხლი 15. მერიის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა სხვა შეზღუდვები

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია მერიის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

თავი IV. საჯარო მოსამსახურის მონაწილეობა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში

მუხლი 16. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა

1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს საჯარო მოსამსახურე. მასზე არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სამსახურებრივი შეუთავსებლობის შესახებ დადგენილი მოთხოვნები.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში საჯარო მოსამსახურეს დროებით შეუჩერდება უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც მას კანონით დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს მერი და მისი მოადგილეები.

მუხლი 17. დამკვირვებლები

1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა მუნიციპალიტეტის მერისა და მისი მოადგილისა;

თავი V. პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 18. კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები

1. კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით (კოდექსი, მუხლი 79).

2. კოდექსით დადგენილი წესით:

ა) წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

ბ) იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით (კოდექსი, მუხლი 80).

3. საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია კოდექსით, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით (კოდექსი, მუხლი 81).

4. კოდექსით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით (კოდექსი, მუხლი 82).

5. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით (კოდექსი, მუხლი 88).

მუხლი 19. სხვა აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემთხვევები მე-18 მუხლში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გარდა საჯარო მოსამსახურის მიერ სხვა სახის გადაცდომის (სამართალდარღვევის) შემთხვევებზე პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.



ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. ნაბახტევის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი – XIV-XV სს.

- ქველმოქმედება -

ქალბატონი, რომელიც სიკეთესთან ასოცირდება

რაიმე ამბავს, ყველა ადამიანი თავისებურად ხვდება-ზოგი განსხვავებული დღის შიშით, ზოგი უფულობით, ზოგი კი სიკეთით, ადამიანების სამსახურში დგება და უანგაროდ ეხმარება მათ. როცა მსოფლიო ეპიდ. საშიშროების წინაშე დადგა, სამყარო ერთ დიდ ქაოსში მოექცა, ადამიანებმა დაკარგეს კონტროლი, იმედი, ცხოვრება სხვა მიმართულებით, საკუთარ სახლებში და ემოციებში გაგრძელდა. რეკომენდაციების დაცვამ, აქტიური რეჟიმიდან პასიურზე გადასვლამ, შეაშინა და დაზაფრა ადამიანები. ყველამ თავისებური თვითგამოხატვა სცადა, სხვაგან ეძებდნენ საკუთარ თავს, რომ პანიკას არ მოეცვათ. ბევრი რამის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით, რომ ამოიწურებდა სასურსათო მარაგი, არ გვეყოფოდა მედიკამენტები, და ძალიან ბევრი რომ, რომელიც ყოველდღიურ ფსიქოლოგიურ წნეხში გვაქცევდა. ამ დროს, ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც სხვის სამსახურში დგებიან, ისე, უანგაროდ, მხოლოდ ადამიანთა სიყვარული რომ აძლევთ სტიმულს და მოტივაციას. სხვადასხვა ფორმით, შესაძლებლობით დაიწყეს ადამიანებმა ერთმანეთის თანადგომა, მიხმარება. ხათუნა ჩიტაძეზე მოგახსენებთ, ჩვენს თანამოქალაქეზე, ქალზე, რომელის სახელიც ჩვენ ქალაქში სიკეთესთან ასოცირდება. ბევრი იფიქრა, რითი დახმარებოდა საკუთარ ქალაქს, საკერავ მანქანას მიუჯდა, ბებიისგან ნასწავლი საქმე კიდევ ერთხელ გაიხსენა:



-"როდესაც ხალხს დასჭირდა პირბადეები და ერთ დღეში გაქრა სააფთიაქო ქსელებიდან, რომლის ფასიც სამ ლარს აღემატებოდა, დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჩემს ქალაქს რეალური საფრთხე ელოდა. მაშინ გავიფიქრე, რომ აუცილებლად შევკერავდი პირბადეებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სამსახურს ვერ დატოვებდნენ. გამახსენდა, თუ როგორ პირბადეებს ატარებდა მამა ოპერაციების დროს. ეს ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის. ვთვლი, რომ ადამიანების მოვალეობაა, გაჭირვების დროს, ვისაც რა შეუძლია, ის გააკეთოს და დავეხმაროთ ერთმანეთს. აგერ უკვე სამი კვირაა, ყოველდღე, თითქმის შეუსვენებლად ვკერავ და ვჩუქნი პირბადეს ყველას, ვისაც სჭირდება. უფლის წყალობით, დღემდე არ მქონია შემთხვევა, რომ თუნდაც ერთი ადამიანი ხელცარიელი გამეშვას. ორი კვირის შემდეგ ამოვწურე ყველა რესურსი, რაც სახლში გამაჩნდა, საშველად მეგობრებს მიმართე და ახლა მაგიდაზე მიდევს ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი, ჭრელი ჩითისა და მიტკლის ქსოვილები. პრობლემა იყო რეზინი, რომლითაც მეგობრებმა მომამარაგეს..."-ასე იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი, რომელმაც 2000 პირბადე შეკერა და დაასაჩუქრა. ხუთი შვილის დედამ და სამი შვილის ბებიამ გამონახა დრო, ყველა შესაძლებლობა ადამიანების სამსახურში ჩამდგარიყო. არც საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა დარჩენია უყურადღებოდ. სოფელ ჩორჩანაში 50 პირბადე გააგზავნა საჩუქრად, სადაც მეტი საჭიროება იყო. ფერადი და სახასიათო, განწყობის შემქმნელი პირბადეებით იცნობოდნენ ქუჩაში ის ადამიანები, რომელთა უსაფრთხოებისთვისაც უანგარო ქალბატონმა არაერთი ღამე გაათია საკერავ მანქანასთან, რომ ქალაქი, რომელიც უყვარს, საკუთარი ხელებით და უძილო ღამეებით ეხსნა გასაჭირისგან.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.